



**სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი**

7 თებერვალი 2025

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 153

**მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2025 წლის კონკურსის
გამოცხადების შესახებ**

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1291120, 06.10.2025) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2025 წლის კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაციის ფორმა პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ს შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონსულტანტის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ს შესაბამისად;
9. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს თანხმობის წერილის ფორმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - დავით ჩიჩუა;
14. კონკურსის კონსულტანტად ფინანსურ საკითხებზე განისაზღვროს ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტები - ზურაბ აბრამიშვილი;
15. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
16. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

**2025 წლის „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის“
პროგრამა და პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად გრანტების გაცემის მიზანია მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესების, სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.

2. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2025 წლის კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დადგენილი წესითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

3. გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ სამეცნიერო მიმართულებებში. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო კლასიფიკატორის (დანართი 11) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე და გრანტის მიმღები სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე მაგისტრანტს, რომელიც არის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. გრანტის მიღების პერიოდში (2025 წლის დეკემბერში) მაგისტრანტი უნდა იყოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა სემესტრის სტუდენტი.

2. მაგისტრანტს უნდა ჰყავდეს **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი** (ანაზღაურების გარეშე) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუსი, საპატიო პროფესორი, მოწვეული პროფესორი, რომელიც აკადემიურ ხელმძღვანელობას უწევს მაგისტრანტის მიერ დაგეგმილ/განხორციელებულ კვლევას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროექტის შინაარსის შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

3. სასურველია, მაგისტრანტს ჰყავდეს **კონსულტანტი** (ანაზღაურების გარეშე) – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროექტში აღწერილ კვლევის სფეროს. პროექტის ფარგლებში უცხოეთში კვლევითი ვიზიტის არსებობის შემთხვევაში, მაგისტრანტს უნდა ჰყავდეს უცხოელი კონსულტანტი, რომელიც გაუწევს სამეცნიერო კონსულტირებას უცხოეთში განსახორციელებელი კვლევის პროცესში.

4. შესაძლებელია პროექტში ჩართული იყოს **დამხმარე პერსონალი** (ანაზღაურების გარეშე), იმ შემთხვევაში თუ მისი საჭიროება არგუმენტირებულად არის დასაბუთებული.

5. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია უსასყიდლოდ გამოყენებულ იქნეს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის ბაზა. სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის ბაზით სარგებლობის შემთხვევაში საჭიროა წინასწარი წერილობითი თანხმობა.

მუხლი 3. ძირითადი პროგრამული და ფინანსური მოთხოვნები

1. მაგისტრანტს შეუძლია კონკურსზე წარადგინოს ერთი პროექტი.

2. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 4 თვე, მაქსიმუმ - 10 თვე და განხორციელება უნდა დაიწყოს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

3. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 6000 ლარს.

4. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) სტიპენდია – არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს;

ბ) სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და სხვა სახის სამუშაოების ხარჯი – შეიძლება ითვალისწინებდეს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკის, ლაბორატორიული ჭურჭლისა და სახარჯი მასალების შეძენის ხარჯებს, ექსპედიციის/სხვა სახის სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის ხარჯებს (გარდა დღიური ხარჯისა).

გ) პროექტის მიზნებისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოპი, სემინარი და სხვა) – აღნიშნული კატეგორია მოიცავს: ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, სადღეღამისო ანაზღაურებისა და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯებს, ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის სავალდებულო სამოგზაურო დაზღვევის ხარჯს, პასპორტის ღირებულებისა და

მივლინებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს (მაგალითად, ვიზის მოსაკრებელი, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საკონსულოს არ არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს), აგრეთვე, სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯს (მაგალითად, კონფერენციაში მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადს). პროექტის მიზნებისათვის მაგისტრანტის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის მივლინების ხარჯი ანაზღაურდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების პირველი დანართით დადგენილი სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების ნორმების შესაბამისად (მე-3 და მე-5 კომპონენტი).

დ) თემის მიზნებისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები – აღნიშნული კატეგორია მოიცავს: ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, სადღეღამისო ანაზღაურებისა და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯებს, ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის სავალდებულო სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს, პასპორტის ღირებულებისა და მივლინებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს (მაგალითად, ვიზის მოსაკრებელი, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საკონსულოს არარსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს). მაგისტრანტის უცხოეთში კვლევითი ვიზიტის დაფინანსების ლიმიტი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების პირველი დანართით დადგენილი სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ნორმების შესაბამისად (მე-4 და მე-5 კომპონენტი).

ე) სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები – აღნიშნული კატეგორია მოიცავს: სწავლის სემესტრულ გადასახადს, პროფესიული ლიტერატურის (ბეჭდური/ელექტრონული) შეძენის, კომპიუტერული პროგრამის შეძენის, პროფესიული ასოციაციის საწევრო გადასახადის, პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან და პატენტის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; საკანცელარიო, ქვეყნის შიგნით სამივლინებო და სხვა ისეთ ხარჯებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ პუნქტის ა-დ ქვეპუნქტებით.

5. საგრანტო დაფინანსება არ ითვალისწინებს პროექტში ჩართული სხვა პირების – სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, კონსულტანტის, დამხმარე პერსონალის – შრომის ანაზღაურებას.

6. პროექტს შესაძლებელია ჰქონდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანადაფინანსება. თანადაფინანსებაში არ ჩაითვლება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი ან სტიპენდია.

7. სასწავლო-კვლევითი გრანტით დაუშვებელია ლექტორის, პლანშეტური კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, საოფისე პრინტერის და/ან სკანერის, კარტრიჯის, უწყვეტი კვების წყაროს და უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი, სატრანსპორტო საშუალების შეძენა.

8. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსში მონაწილეობისა და დაფინანსების მოპოვების მიზნით მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი 2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) საპროექტო წინადადება (დანართი 3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) მაგისტრანტის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV) – მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ში და ქმნიან მეცნიერის პროფილს. მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება, ექსპორტირდება CV ქართულ ენაზე და მაგისტრანტის მიერ იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას (დანართი 4). უცხოელი ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიოგრაფია, შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს ნებისმიერ ფორმატში PDF დოკუმენტის სახით, ინგლისურ და ქართულ ენებზე. CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურენოვან CV-ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატისის გამოქვეყნების ენის მითითებით.

დ) ცნობა მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ (დანართი 5), ასევე მაგისტრანტის ნიშნების ფურცელი/ტრანსკრიპტი. ცნობაში სავალდებულოა მითითებული იყოს: სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების, ჩარიცხვის თარიღის, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელისა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელები, აკადემიური ხარისხი, აკადემიური პოზიცია, სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო სახელწოდება, მაგისტრანტის აქტიური სტატუსი და ამჟამინდელი სასწავლო სემესტრი. ცნობა დადასტურებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ითა და დაწესებულების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (იტვირთება GMUS-ში ორივე საბუთი ერთი გაერთიანებული PDF დოკუმენტის სახით).

ე) კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი (დანართი 6). უცხოელი მეცნიერის შემთხვევაში, თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურენოვანი ორიგინალისა და ქართული თარგმანის სახით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება PDF დოკუმენტის სახით GMUS-ში);

ვ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი – პროექტით გათვალისწინებული აქტივობების ამოცანებისა და შედეგების გეგმა (დანართი 7, ივსება GMUS-ში);

ზ) პროექტის ბიუჯეტი – პროექტით გათვალისწინებული კვლევისა და სასწავლო-კვლევითი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების აღწერა (დანართი 8, ივსება GMUS-ში).

თ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს მაგისტრანტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, თანხისა და მიზნობრიობის მითითებით. ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს უსდ-ს ოფიციალურ ბლანკზე და დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

ი) თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ, საჭიროა იმ შემთხვევაში თუ მაგისტრანტი კვლევას ახორციელებს საკუთარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარდა სხვა ფიზიკური/იურიდიული პირის ბაზაზე. თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 9-ის ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

კ) უცხოეთის მოქალაქე კონსულტანტისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოსადგენია დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა 2025 წლის მდგომარეობით ან/და ოფიციალური ვებ-გვერდის ბმული, საიდანაც დასტურდება მისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია (იტვირთება/ივსება პროექტის რეგისტრაციისას GMUS-ში).

2. დოკუმენტს, რომლის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია, თან ახლდეს შესაბამისი ქართული თარგმანი, რომელიც დამოწმებული იქნება ავტორიზებული თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

3. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი 10, გენერირდება GMUS-დან) დამოწმებული შესაბამისი ფიზიკური პირების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა მაგისტრანტმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:
 - ა) სტუდენტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი სემესტრის მითითებით;
 - ბ) მიზნობრივი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც მოხდება მხოლოდ გრანტის თანხის ჩარიცხვა და არ დაირიცხება სარგებელი.
5. კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.
6. პროექტის დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენაზე პასუხისმგებელია მაგისტრანტი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:
 - ა) პროექტის რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზაში - გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) <http://gmus.rustaveli.org.ge> - 9 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის 16:00 საათამდე;
 - ბ) რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში - 7 ნოემბრის 18:00 საათამდე.
2. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) დარეგისტრირებულნი იყვნენ პროექტში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები: მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, საქართველოს მოქალაქე კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც ჩარიცხულია კონკურსის მონაწილე მაგისტრანტი.
 - ა) პროექტში ჩართული ფიზიკური პირების (მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და საქართველოს მოქალაქე კონსულტანტი) რეგისტრაციისთვის საჭიროა „მეცნიერის პროფილის“ შექმნა GMUS-ში და ბიოგრაფიული მონაცემების შევსება. საქართველოს მოქალაქე კონსულტანტისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამატებით ასევე საჭიროა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სამსახურიდან ცნობის წარმოდგენა 2025 წლის მდგომარეობით, რომელიც ადასტურებს უმაღლეს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიურ/სამეცნიერო პოზიციაზე დასაქმებას. საქართველოს მოქალაქე კონსულტანტისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება (დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტების სახით); უცხოეთის მოქალაქე კონსულტანტისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მეცნიერის პროფილის შექმნა არ არის სავალდებულო, ხოლო მისი აკადემიური ხარისხის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს პროექტის რეგისტრაციისას (იხ. მე-4 მუხლის 1.3 პუნქტი).

ბ) პროექტში ჩართული იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტებია: სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდება/დებულება. ა(ა)იპ-ისა და შპს-ის შემთხვევაში, ასევე საჭიროა 2025 წელს გაცემული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს GMUS-ში „ორგანიზაციის პროფილში“.

გ) პროექტის რეგისტრაცია მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსზე, კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ ქვეპუნქტები).

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტის ხელმოწერებითა და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება კონკურსის ელექტრონული ბაზიდან).

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

- ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება – 2025 წლის ოქტომბერი;
- ბ) პროექტების ფონდში წარდგენა - ელექტრონული რეგისტრაცია – 2025 წლის ოქტომბერი;
- გ) კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში - 2025 წლის ნოემბერი;
- დ) პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა – 2025 წლის ნოემბერი;
- ე) პროექტების შეფასება – 2025 წლის ნოემბერი-დეკემბერი;
- ვ) დასაფინანსებელად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება – 2025 წლის დეკემბერი;
- ზ) გამარჯვებულ დოქტორანტებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება და დაფინანსება – 2025 წლის დეკემბერი.

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში ფონდი დაადგენს ხარვეზებს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;

3. ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრულად ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/5

ბრძანების მე-9, 10, 11 და მე-12 მუხლებით დადგენილი წესებით.

2. კონკურსის საერთო ბიუჯეტი გადანაწილდება ამ პირობების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ 1-7 სამეცნიერო მიმართულებებში „საუკეთესო პროექტების“ რაოდენობების პროპორციულად.

3. თითოეული 1-7 სამეცნიერო მიმართულების „საუკეთესო პროექტი“ ეწოდება პროექტს, თუ მისი შეფასების ქულა მეტია ან ტოლია აღნიშნულ მიმართულებაში ყველა იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკულზე, რომლებიც აკმაყოფილებენ დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელ პირობას. (იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №130/ნ- ის მუხლი 10-ის პუნქტი 4)

4. თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრული თანხებიდან დარჩენილი ჯამური ნაშთი მოხმარდება დაფინანსების გარეშე დარჩენილ უმაღლესქულიან პროექტებს, მიმართულებების გაუთვალისწინებლად, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N130/ნ ბრძანების დანართის მე-10 მუხლის თანახმად, მიღებული აქვთ 18 ან მეტი ქულა.

5. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში მონაწილეთათვის საკუთარი პროექტების შეფასებების გაცნობას GMUS-ში.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენ მაგისტრანტთან, შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება პროექტის განხორციელების სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობას გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის ქვეყანაში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება მაგისტრანტებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

4. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (არაუგვიანეს 20 დღის ვადაში) მაგისტრანტს ავანსის სახით გადაერიცხება მთლიანი ბიუჯეტის 80%, ხოლო დარჩენილი 20% გადაირიცხება მაგისტრანტის მიერ ფონდში წარდგენილი საბოლოო ანგარიშის განხილვისა და ფონდის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე.

მუხლი 9. პროექტის შესრულების ანგარიშგება და მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში და განხორციელებული პროგრამული აქტივობების ანგარიში ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

2. ანგარიშს უნდა ერთვოდეს:
 - ა) გრანტის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს დედანის, ფოტოასლების ან ელექტრონული (დასკანირებული) სახით;
 - ბ) პროგრამული ამოცანების შესრულების (შედეგების) ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მაგისტრანტი ვერ წარმოადგენს აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს, მის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიშის საფუძველზე მოხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პროექტის შეჩერების, შეწყვეტის ან ვალდებულებების შესასრულებლად დამატებით ვადის განსაზღვრის თაობაზე.
3. ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.
4. საგრანტო პროექტის მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტირებულ ანგარიშს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
5. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
6. **ფინანსური მონიტორინგი** გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შემოწმებას საგრანტო პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან და გაწეული ხარჯების საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენას. ფინანსური მონიტორინგის საფუძველზე:
 - ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;
 - ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ სახაზინო ანგარიშზე დაბრუნებას;
 - გ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდის ბოლოს აუთვისებელი რესურსი.
7. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგების ამსახველი მასალის შესაბამისობის დადგენას. პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში ფონდი:
 - ა) უფლებამოსილია განახორციელოს ადგილზე ვიზიტი;
 - ბ) არ არის ვალდებული განახორციელოს მონიტორინგი საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.
8. განხილვის აქტის საფუძველზე ფონდი გადარიცხავს გრანტის დარჩენილ 20%-ს გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე და საგრანტო პროექტი ჩაითვლება დასრულებულად.
9. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებს.

10. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა.

11. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან.

12. პროექტის შეჩერება ან შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების მე-15 მუხლის შესაბამისად.

13. გრანტის მიმღები ვალდებულია ფონდს შეატყობინოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფერხების შესახებ, რომელიც განპირობებულია მისი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებით ან სამაგისტრო კვლევის თემის/საკითხის შეცვლით. ასეთ შემთხვევაში, პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდისთვის მომართვიდან შესაბამის აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამაზე გადასვლამდე ან საგრანტო ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე.

14. ფონდი შეწყვეტს პროექტს და გრანტის მიმღების დაფინანსებას, თუ:

ა) გაუქმდა შესაბამისი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია და მაგისტრანტი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში არ გადავიდა მაგისტრატურის სხვა შესაბამის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბ) არ შესრულდა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარმოდგენილია ყალბი ინფორმაცია;

გ) მაგისტრანტს შეუწყდა ან შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი გრანტის განხორციელების პერიოდის დროს;

დ) სამაგისტრო კვლევის/თემატიკის შეცვლა არ შეთანხმდა ფონდთან;

15. პროექტის შეწყვეტის შემთხვევაში მაგისტრანტმა მის მიერ შესყიდული ხელსაწყოები და აპარატურა, ასევე გაუხარჯავი ლაბორატორიული და სხვა მასალები უნდა გადასცეს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. მაგისტრანტი ვალდებულია სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე დააბრუნოს არსებული ნაშთი.

16. ფონდი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

ბ) აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. სავალდებულოა საგრანტო პროექტის განხორციელების შედეგად მაგისტრანტმა დაიცვას სამაგისტრო

ნაშრომი და ფონდში წარმოადგინოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. თუ პროექტი ითვალისწინებს რეიტინგულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება/გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღებას, შედეგი მიღწეულად განიხილება თუ ჟურნალი ან კრებული ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking ან/და ERIH plus ბაზებში.

3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, საკონფერენციო აბსტრაქტი, პრეზენტაცია და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას.

4. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით“.

5. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ
Cover Page

I გვერდი
ზოგადი ინფორმაცია
General Information

1	პროექტის სახელწოდება ქართულად Project title in English	
2	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	4-დან 10 თვის ჩათვლით
3	უცხოეთში კვლევითი ვიზიტი	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
4	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	არაუმეტეს 6 000 ლარი
5	თანადაფინანსების თანხა (ლარი)	
6	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
7	საპროექტო წინადადება (ქართული)	PDF ფაილის ატვირთვა
8	აბსტრაქტი	მაქსიმუმ 200 სიტყვა
	Abstract (ENG)	Maximum 200 words
ინფორმაცია უცხოეთში კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების შესახებ (თუ პროექტში იგეგმება ასეთი ვიზიტი) Information about research visit / internship abroad		
9	ინსტიტუტის სახელწოდება Institution	
10	ქალაქი City	
11	ქვეყანა Country	
12	კონსულტანტი (სახელი, გვარი) Advisor (name, surname)	
13	უცხოეთში კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების ხანგრძლივობა	
	Duration of research visit/internship abroad	

14	სამეცნიერო მიმართულებები Scientific Fields	
	მიმართულება	
	ქვემიმართულება	
	კატეგორია	
		1
		2
		3

15	არასასურველი ექსპერტები Excluded reviewers	
N	სახელი, გვარი Name, Surname	ინსტიტუცია Institution
1		
2		
3		

შენიშვნა: ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ მაქსიმუმ 3 ექსპერტი

II გვერდი
ორგანიზაცია
Organization

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ Information about HEI		
1	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	
2	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
3	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი/რექტორი (სახელი გვარი)	
4	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
5	ელ. ფოსტა	
6	ტელეფონი	
7	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
8	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანადაფინანსების ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	PDF ფაილის ატვირთვა

ინფორმაცია იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about the organization/individual, providing research infrastructure for the project (if applicable)		
9	იურიდიული პირის სახელწოდება	
10	უფლებამოსილი პირი (სახელი, გვარი)	
11	ელ.ფოსტა	
12	ტელეფონი	
13	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
14	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
15	ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
16	ელ. ფოსტა	
17	ტელეფონი	
18	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა

შენიშვნა: იკვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტი კვლევას ახორციელებს საკუთარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარდა სხვა ფიზიკური/იურიდიული პირის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.

III გვერდი

პროექტში ჩართული პერსონალი
Project personnel

ინფორმაცია სამეცნიერო გუნდის შესახებ		
მაგისტრანტი		
1	პირადი ნომერი	
2	სახელი, გვარი	
	Name, surname	
3	ელ. ფოსტა	
4	ტელეფონი	
5	ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
6	ცნობა მაგისტრატურის პროგრამაზე სწავლის შესახებ და ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი)	PDF ფაილის ატვირთვა
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი		
7	პირადი ნომერი	
8	სახელი, გვარი	
9	აკადემიური ხარისხი	
10	აკადემიური თანამდებობა	
11	აფილაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ცენტრი/ფაკულტეტი)	
12	ელ. ფოსტა	
13	ტელეფონი	
14	ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
	CV in English (უცხოელის შემთხვევაში)	PDF file upload
სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი		
